MES 1 23 0001396138

18/10/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
ქეთევანი კევლიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
საბა ელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
სსიპ- ქალაქთბილისის N47 სკოლა:
ირმა ხუციშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლა:
მარინე ათანელიშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N5 საჯაროსკოლა:
ია პაიჭაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა:
ზურაბ ზაქარაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N1 საჯარო სკოლა
ნონა გიორგაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლა
თენგიზ ალმასია - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ- ქალაქ თბილისის N47 სკოლა
ა) ხათუნა ლოდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ხათუნა ფაილაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარიამი ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ელენე ბეთლემიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლა

ა) ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ამზაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო მიმინოშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N5 საჯარო სკოლა

ა) თეა გაბელაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამი ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხატია კაჭარავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ზაზა მანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარიამ მატიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა

ა) მაკა ტუკვაძე -(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათელა ბასილია-(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლელა გორდულაძე-(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო თედორაძე- (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მგალობლიშვილი-(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლედი კუთხაშვილი -(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ტაბუცაძე -(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) მარინე ხუციშვილი -(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე-(სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბალხამიშვილი-(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N1 საჯარო სკოლა

ა) ვერა ყურულაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) პაშა გულორდავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მანანა ცუცქირიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბესიკი ბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ჩავლეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლა

ა) ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკოლოზ წულაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ელენე მიდელაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 29 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ- ქალაქ თბილისის N47 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ-ქალაქ ქუთაისის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე სახის შუამდგომლობა, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა სიტყვა ითხოვა და საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ ,,სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის N1251597 გადაწყვეტილებაში შეცდომით იყო მითითებული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო აღნიშნულ გადაწყვეტილებაში. შუამდგომლობა

აღნიშნულის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარადგინა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. ,,სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯაროსკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის N1251597 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. სსიპ- ქალაქ თბილისის N47 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ-ქალაქ ქუთაისის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. ,,სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის N1251597 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ,,სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის N1251597 გადაწყვეტილებაში შეცდომით იყო მითითებული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო აღნიშნულ გადაწყვეტილებაში და დაკორექტირებულიყო მესამე პუნქტი, რომლიც ჩამოყალიბდებოდა

შემდეგნაირად: ,,3. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით; "
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის N1251597 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ,,სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის N1251597 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
,,3. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით;"

2. სსიპ- ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საკითხის განხილვა დაიწყო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და საბჭოს წევრებთან მიმართვით, ხომ არ ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, განაცხადა თვითაცილება სსიპ- ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვასთან მიმართებით, ვინაიდან საბჭოს წევრი წარმოადგენდა რესურსცენტრს, რომლის დაქვებდებარებაშიც იყო აღნიშნული სკოლა. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ხათუნა ლოდიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 17 და 18 აგვისტოს.
ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული დაწესებულებას სურდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ქართულ ენაზე. სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2000-ს, რასაც ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი.
ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა „შესაბამისად" შეაფასა 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი სამივე საფეხურზე), მე-3 (სასწავლო

პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის ინფრასტრუქტურაზე, რომელიც შესაბამისი იყო სტანდარტებთან და მორგებული იყო მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს.
ექსპერტმა სკოლის საუკეთესო მხარედ გამოყო სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები.
ექსპერტმა განმარტა, რომ მესამე სტანდარტის 3.5 კომპონენტი შეფასდა მეტწილ შესაბამისობაში, რაც გამოწვეული იყო ადაპტირებული გარემოს არ არსებობით. თუმცა, ექსპერტის გამარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, ამას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემიდან გამომდინარე ხელი არ შეუშლია მესამე სტანდარტის შესაბამისად შეფასებისთვის. აღნიშნულის თაობაზე, სკოლას ექსპერტთა მხრიდან მიეცა რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რჩევით, რომელიც შეეხებოდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამწოვი კარადით და რეაგენტებით აღჭურვასა და ლაბორატორიის სათავსოს მოწესრიგებას. იგი დაინტერესდა, რამდენად უშლიდა აღნიშნული საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლების შედეგებზე გასვლას.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლის საბუნებისმეტყველო ჯგუფის მასწავლებლები აქტიურად იყენებდნენ ვირტუალურ ლაბორატორიას, რაც შესაძლებლობას იძლეოდა სწავლის შედეგების მიღწევას.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, სკოლის წარმოსადგენ დოკუმენტებს, გარდა იმისა, რის შესახებაც დასკვნაში იყო გაცემული რეკომენდაცია (3.5 კომპონენტი, ადაპტირებული გარემო) დამატებოდა სკოლის შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, შესაბამისად, სსიპ- ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლას (ს/კ: 203850831) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

	სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი შ. ჩიტაძის ქ. N9
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი შ. ჩიტაძის ქ. N9
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი შ. ჩიტაძის ქ. N9

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა დაწესებულებას, რომ 2025 წლის სექტემბრამდე მოახდინოს ცენტრის ინფორმირება და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა;
- ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი მასალები;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

3. სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე საკითხი წარადგიდა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა. ექპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა, 2023 წლის 21 და 22 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ტიბაანში, ქუჩა 14, ჩიხი 2, N10. დაწესებულება ახორციელებდაზოგადი განათლების, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, პროგრამის განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა

შეადგენდა 300 მოსწავლეს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება რეაბილიტირებული იყო მილენიუმის პროგრამის ფარგლებში და აღჭურვილი იყო ყველა იმ რესურსით, რაც საჭირო იყო სწავლა სწავლების პროცესში.ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში წარმოადგინა სტანდარტის შეფასებები, რომელიც განხორციელდა შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ. კერძოდ, 1-ლი სტანდარტი შეფასდა, როგორც - შესაბამისი, მე-2 სტანდარტი-შესაბამისი (სამივე საფეხურისთვის)მესამე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისი, მე-4 სტანდარტი -შესაბამისი.ექსპერტმა ასევე წარმოადგინდა სკოლის ფოტო- მასალა, სადაც წარმოდგენილი იყო ყველა საჭირო რესურსი.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა დასვა კითხვა მეორე სტანდარტთან მიმართებით, კერძოდ როგორ აკავშირებდნენ პედაგოგები ერთმანეთთან საფეხურის გრძელვადიან შედეგებს, გრძელვადიან სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან.
აღნიშნული კითხვის პასუხად საბუნებისმეტყველომეცნიერებათა საგნობრივმა ექსპერტმა ინგა ლომაძემ განაცხადა, რომ ბმა ჩანდა კურიკულუმების ჩარჩოებში, რომელიც წარმოდგენილი იყო დაწესებულების მხრიდან.
შალვა მეკრავიშილმა დასვა ასევე დამაზუსტებელი კითხვა სად ჩანდა კონკრეტულად საფეხურეობრივი შედეგები, რაზეც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივმა ექსპერტმა განაცხადა,რომ აღნიშნული ჩანდა მატრიცებში, კერძოდკომპლექსურ დავალებებში.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ როდის გაუფორმდათ პედაგოგებს ხელშეკრულებები, რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, რამდენიმე პედაგოგთან შრომითი ხელშეკრულებაგაფორმებული იყო ერთი წლის ვადით.
აღნიშნულ კითხვაზესკოლის წარმომადგენელმა განაცხადა,რომსკოლას პედაგოგებთან გაფორმებული ჰქონდა უვადო ხელშეკრულებები, თუ რომელიმე პედაგოგთან ან პედაგოგებთან გაფორმებული იყო ვადიანი ხელშეკრულებები, აღნიშნული ხარვეზი მყისიერად გამოსწორდებოდა დაწესებულების მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 1

საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა კენჭისყრაზე დააფიქსირა უარყოფითი ხმა სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხთთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ სკოლას არ ჰქონდა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტები არ ჰქონდა მოყვანილი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. აგრეთვე სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. აქედან გამომდინარე ის არ უჭერდა მხარს, აღნიშნული სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლას (ს/კ: 240412816) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სოფელი ტიბაანი ქუჩა14, ჩიხი 2, N10
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სოფელი ტიბაანი ქუჩა14, ჩიხი 2, N10
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სოფელი ტიბაანი ქუჩა14, ჩიხი 2, N10

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 3.4. და 3.6. კომპონენტებთან მიმართებით, 2025 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოადგინოს რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

4. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტმა, თეა გაბელაიამ.
ექსპერტმა, თეა გაბელაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 28 და 29 ივნისს. დაწესებულება ახორციელებდაზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. დაწესებულება მდებარეოდას ქალაქ ქუთაისში,სოლომონ პირველის N73-ში. ექსპერტმა განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურდასაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება 220 მოსწავლისთვის, რასაც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება.
ექსპერტის განმარტებით ქ. ქუთაისის №5 საჯარო სკოლის შენობა არის ადაპტირებული. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს,დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; სკოლას აქვს მოწესრიგებული ეზო და რეკრეაციული ზონები, სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, შესაბამისად აღჭურვილი კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, საკლასო ოთახები და ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.
ექსპერტ, თეა გაბელაიას განმარტებით, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც "შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".
ექსპერტ, თეა გაბელაიას განმარტებით, სამივე საფეხურის კურიკულუმები მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც " შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". მეორე სტანდარტთან მიმართებით სკოლას მიეცა რჩევები.
ექსპერტ ირმა ხუციშვილის განმარტებით მესამე სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივ შესაბამისად“, გამომდინარე იქიდან რომ 3.1 და 3.6 კომპონენტები შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები დეტალურად იყო აღწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტ, თეა გაბელაიას განმარტებით, მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც "შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატრინე კვირიკაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და დაწესებულებას, დაეზუსტებინათ იყოთუ სკოლის შენობა ექსპლუატაციაში მიღებული. ექსპერტმა, თეა გაბელაიამ განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას არ წარმოუდგენია შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციაში შესვლისდასკვნა, თუმცა სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქუთაისის №5 საჯაროსკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ - ქუთაისის №5 საჯარო სკოლას (ს/კ: 212798007) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220-ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ქუთაისი, სოლომონ პირველის N73
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, სოლომონ პირველის N73
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, სოლომონ პირველის N73

საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ცენტრში წარმოადგინოს მესამე სტანდარტის (3.1 და 3.6 კომპონენტების) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ დოკუმენტაცია, 2024 წლის სექტემბრის ჩათვლით.

5. სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საკითხის განხილვა დაიწყო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და საბჭოს წევრებთან მიმართვით, ხომ არ ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ, ასევე საბჭოს წევრებმაც დააფიქსირეს იგივე. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კვლავ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ სიტყვა გადასცა ავტორიზაციის ექსპერტებს, კონკრეტულად ჯგუფის თავმჯდომარეს, მაკა ტუკვაძეს.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საკითხის წარდგენა დაიწყო ვიზიტის საერთო მოკლე მიმოხილვით და განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის20 და21ივლისს. ესპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. აქვე დაამატა, რომ საწყის ეტაპზე, უშუალოდ ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პირველად საავტორიზაციო განაცხადსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ხოლო შემდეგ ადგილზე მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და დამატებითი მასალების შესწავლა / შეფასება. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ დღის წესრიგის მიხედვით დისტანციურ რეჟიმში გასაუბრებოდნენ სკოლის მასწავლებლებს და მოეძიებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მე-2 სტანდარტთან მიმართებაში. აქვე განმარტა, რომ დაწესებულება სურდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო - 2800, რასაც ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი.
მაკა ტუკვაძემ საბჭოს წევრებს დეტალურად, კომპონენტისა და ინდიკატორის მითითებით, წარუდგინა ყველა ის თავდაპირველი ხარვეზი, რომელიც სკოლას უშუალოდ ვიზიტის მსვლელობის დროს დაუფიქსირდა და შემდეგ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, სტანდარტებთან უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები, რის შემდეგაც პირველადი ხარვეზების ნაწილი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო მე-2 სტანდარტი - მეტწილად შესაბამისი.
კერძოდ, არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა:

- „სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა - 2023-2030 წწ;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 1-ლი სტანდარტი - სკოლის ფილოსოფია შეფასდა, როგორც „შესაბამისი“, მე-2 სტანდარტი - სასკოლო კურიკულუმი - „მეტწილად შესაბამისი“, მე-3 სტანდარტი - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - „შესაბამისი“, მე-4 სტანდარტი - მოსწავლეთა მხარდაჭერა შეფასდა, როგორც „შესაბამისი“ ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.
აღნიშნულის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გადავიდა სკოლის მიმართ გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე და დამსწრე საზოგადოებას გააცნო თოთოეული კომპონენტისა და ინდიკატორის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები/რჩევები, რაც დეტალურად იყო აღწერილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაში.
აქვე მაკა ტუკვაძემ ისაუბრა სკოლის მატერიალური-ტექნიკურ ბაზის შესახებ და დააფიქსირა, რომ დაწესებულების სამივე შენობა უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ყველანაირი ინვენტარით.
ექსპერტთა ჯგუფის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, პეტრე ბაბილუას, რომელსაც კითხვა ჰქონდა დაწესებულების გაძლიერებულ სტატუსთან დაკავშირებით, კერძოდ მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს,

თუ რაში გამოიხატებოდა ის ფაქტი, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ფიზიკისა და მათემატიკის მიმართულებებს.
აღნიშნულზე სკოლის დირექტორმა, ზურაბ ზაქარაძემ, განმარტა, რომ სკოლა გაძლიერებულ სწავლებას ახორციელებს საბაზო და საშუალო საფეხურებზე 2012 წლიდან, მას შემდეგ რაც სამინისტროს მხრიდან მიენიჭათ, ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სკოლის სტატუსი და სახელი, ხოლო აღნიშნული დასტურდება სასკოლო კურიკულუმში ზემოთ ხსენებულ მიმართულებებზე დამატებული საათებითა და თემებით, ასევე დაგეგმილი აქტივობებით, კერძოდ, რეგიონალურ და საეთაშორისო კონფერენციებსა და ოლიმპიადებში წარჩინებული მოსწავლეების მონაწილეობით.
ზეპირი მოსმენისას საბჭოს წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს დასკვნის პროექტში ასახულ რეკომენდაციებზე, კერძოდ 3.4.1.1 და 3.5.1.1 ინდიკატორების დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც ეხებოდა 1) სამივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება; 2) სამივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან და 3) სამივე შენობის მდგრადობაზე დასკვნის მოპოვება შესაბამისი ორგანოსგან. ასევე სკოლას მიმართეს, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2023 წლის ოქტომბერი-დეკემბერი) უზრუნველყოს მე-2 და მე-3 კორპუსების, სკოლის მფლობელობაში არსებობის დადასტურება (საჯარო რეესტრის ამონაწერით).

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 3

უარყოფითი ხმები დააფიქსირეს ეკატერინე კვირიკაშვილმა, ზვიად გოგუაძემ და პეტრე ბაბილუამ, რაც გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ სკოლას არ ჰქონდა დასკვნა სამივე შენობის მდგრადობის შესახებ, სამივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან და სამივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. ასევე, სკოლას რეესტრის ამონაწერით მფლობელობაში არ უფიქსირდებოდა მე-2 და მე-3 კორპუსები.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტისშესაბამისად სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლას (ს/კ: 245428933) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2800-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმ	ზოგადსაგანმა	

	პროგრამის სახელწოდება	ანათლებლო პროგრამის საფეხური	ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, ფიროსმანის ქ.N5
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, ფიროსმანის ქ.N5 და სვიშევსკისქ.N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, ფიროსმანის ქ.N5 და სვიშევსკისქ.N1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგთან დაკავშრებით, კერძოდ 2025 წლის ოქტომბრიდან აღნიშნულ სკოლაში განხორციელდეს მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნება მე-2 სტანდარტი სრულად სამივე საფეხურზე (ასევე, რამდენად შეესაბამება სკოლის კურიკულუმები მის გაძლიერებულ სტატუსს).
ასევე სკოლას განუსაზღვრა რეკომენდაცია, რომ 2025 წლის სექტემბრის ჩათვლით წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- სამივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა;
- სამივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან;
- დასკვნა სამივე შენობის მდგრადობაზე.

6. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, განაცხადა თვითაცილება სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვასთან მიმართებით, ვინაიდან საბჭოს წევრი ჩართული იყო სკოლის შიდა მხარდამჭერ ჯგუფში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვერა ყურულაშვილმა. მან განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 ივლისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ ზესტაფონში, რევაზ ლაღიძის ქუჩა N38-ში. დაწესებულებას სურდა

ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 600. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა მოთხოვნილ რაოდენობას.

ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა დარღვევად მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შემდეგნაირად შეფასდა:

პირველი სტანდარტი, სკოლის ფილოსოფია, შეფასდა როგორც სტანდარტთან შესაბამისი, ვინაიდან ორივე კომპონენტი 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები და კომპონენტი 1.2 - სკოლის დაგეგმვა და განვითარება, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სტანდარტთან სრული შესაბამისობით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ხოლო თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად: 3.1. პერსონალის მართვა - მეტწილად შეესაბამება; 3.2. პერსონალის განვითარება - შეესაბამება; 3.3. პროცესის მართვა - შეესაბამება; 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილად შეესაბამება; 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა - შეესაბამება; 3.6. საინფორმაციო რესურსები - მეტწილად შეესაბამება და 3.7. ფინანსური რესურსები შეესაბამება. ექსპერტის განცხადებით, ასევე, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა ,ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

ექსპერტის განმარტებით, მეორე სტანდარტი სასკოლო კურიკულუმი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“ ვინაიდან სტანდარტის ოთხივე კომპონენტი, 2.1-კურიკულუმის შემუშავება; 2.2-კურიკულუმის განხორციელება; 2.3-კურიკულუმის მონიტორინგი; 2.4-ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, როგორც „სრულად შესაბამისი“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ორ შენობაში, რომლებიც ერთმანეთთან იყო დაკავშირებული გადასასვლელი ხიდით. სკოლას ჰქონდა ფართო და ნათელი დერეფნები, საჭირო ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, ქიმის კაბინეტი და საპირფარეშოები. ექსპერტის განცხადებით სკოლა იყო სრულად ადაპტირებული. ამასთანავე სკოლას ჰყავდა შეკრული, თანამშრომლობითი გუნდი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით, რა ნაბიჯები ჰქონდა სკოლას გადადგმული.
სკოლის დირექტორმა, ნონა გორგოძემ, განაცხადა რომ სკოლაში 25 ივლისს ვიზიტის პერიოდში იმყოფებოდნენ სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები და შეაფასეს სკოლის სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობა, რაზეც მიმდინარე წლის 01 აგვისტოს მიღებულ იქნა აქტი სკოლის მიერ შესასრულებელი რეკომენდაციების თაობაზე .

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 230053535) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქ ზესტაფონი, რევაზ ლაღიძის ქუჩა N38
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქ ზესტაფონი, რევაზ ლაღიძის ქუჩა N38
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქ ზესტაფონი, რევაზ ლაღიძის ქუჩა N38

საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია, რომ 2024 წლის სექტემბრამდე წარმოადგინოს ცენტრში მესამე სტანდარტის 3.1 და 3.4 კომპონენტის დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ:

- ცნობები უფლებების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის და ნასამართლეობის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან;
- დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

7. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საკითხის განხილვა დაიწყო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და საბჭოს წევრებთან მიმართვით, ხომ არ ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ, ასევე საბჭოს წევრებმაც დააფიქსირეს იგივე. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კვლავ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა, ჯგუფის თავმჯდომარეს, ირმა ხუციშვილს.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საკითხის წარდგენა დაიწყო ვიზიტის საერთო მოკლე მიმოხილვით და განაცხადა, რომ სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლაშიავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 02 და 03 აგვისტოს, დამსწრე საზოგადოებას გააცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფში შემავალი სხვა ექსპერტები და აღნიშნა, რომ მთლიანობაში ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში.
აქვე განმარტა, რომ დაწესებულებას სურდა განეხორციელებინა ზოგადი განათლების სამივე საფეხური (დაწყებითი, საბაზო, საშუალო), პროგრამების განხორციელების ენა ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო - 390, რასაც ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა ორ მისამართზე, კერძოდ სოფელი ოქტომბერი, კინწურაშვილის N2-ში სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე იყო უზრუნველყოფილი, ხოლო მეორე მისამართზე, ზუგდიდი, დავითიანის უბანი, დადიანის N18-ში - მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა.

აღნიშნულის შემდეგ, ირმა ხუციშვილმა, ისაუბრა იმ რეკომენდაციებსა და რჩევებზე, რაც გაიცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბოლოო დასკვნის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმა და ის დოკუმენტები თუ შიდა რეგულაციები, რაც დახარვეზდა პირველადი შეფასებისას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მისი დანართები და შესაბამისად ის ხარვეზები, რაც დაფიქსირებული იყო დასკვნის პროექტში, უკვე საბოლოო დასკვნაში შეფასდა, როგორც შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შემდეგ წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას ავტორიზაციის სტანდარტების ექსპერტული შეფასება საბოლოო დასკვნის მიხედვით, კერძოდ 1-ლი სტანდარტი - სკოლის ფილოსოფია შეფასდა, როგორც შესაბამისი, მე-2 სტანდარტი - სასკოლო კურიკულუმი - შესაბამისი, მე-3 სტანდარტი - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შესაბამისი, მე-4 სტანდარტიც - მოსწავლეთა მხარდაჭერა შეფასდა, როგორც შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.
პრეზენტაციის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვიზუალური აღქმისათვის, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სკოლის ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსის ამსახველი ფოტოები.
საკითხის წარდგენის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე კვირიკაშვილს, რომელმაც კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ მათ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მოუწიათ 3.4.1.1 ინდიკატორის დასაკმაყოფილებელი აქტივობების გაწერა, კერძოდ, რატომ ვერ შეძლეს მათ სახანძრო უსაფრთხოების მიწერილობისა და/ან დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა (შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული) და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის მოპოვება.
აღნიშნულ კითხვაზე სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ როგორც კი მივიდა მათთან ინფორმაცია, რომ სკოლას სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსასვლელად ესაჭიროებოდათ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, მათ დაუყოვნებლივ გააგზავნეს ოფიციალური მიმართვები შესაბამის უწყებებში და ა ელოდებოდნენ რეაგირებებს. აქედან გამომდინარე, სკოლამ ეს აქტივობები გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.
საბჭოს სხვა წევრებს დამატებითი კითხვები აღარ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 390-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა კენჭისყრაზე დააფიქსირა უარყოფითი ხმა, რაც დაასაბუთა იმ გარემობით, რომ სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან და ასევე, დასკვნა შენობის მდგრადობაზე.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლას (ს/კ: 220373566) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 390-ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზუგდიდი, სოფელი ოქტომბერი,კინწურაშვილისN2 / ზუგდიდი, დავითიანის უბანი, დადიანის N18
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზუგდიდი, სოფელი ოქტომბერი, კინწურაშვილის N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზუგდიდი, სოფელი ოქტომბერი, კინწურაშვილის N2

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა დაწესებულებას, რომ მოახდინოს ცენტრის ინფორმირება და 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით გადმოაგზავნოს მე-3 სტანდარტის 3.4.1.1 ინდიკატორის მტკიცებულებები, კერძოდ:

- ორივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა;
- ორივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან;
- დასკვნა ორივე შენობის მდგრადობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 19:35 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა